



საერთაშორისო სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

20

რად ღვან უკრაინის კრიზისის უკან?

გიორგი გვიმრაძე



უკრაინის კრიზისი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**გიორგი გვიმრაძე**

**რა ღვან უკრაინის კრიზისის უკან?**

**20**

**2014**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6497-5

უკრაინაში არსებული ვითარება უკვე სამართლიანად აღიარეს ექსპერტებმაც და პოლიტიკოსებმაც ოცდამეერთე საუკუნეში ევროპისათვის ყველაზე მწვავე კრიზისად. უკრაინის ნაწილი უბრალოდ ოკუპირებული კი არ არის, არამედ უკვე ანექსირებულია მისი მეზობლის და, მეტიც, ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკური პარტნიორის – რუსეთის მიერ. ამის გარდა, ის ჯერ კიდევ დგას სამოქალაქო დაპირისპირების პირას ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას და მჭიდროდ არის დასახლებული ეთნიკურად რუსებით, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთთან დაახლოების მომხრეა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთმა, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა უკრაინა დასაჯოს მისი საგარეო-პოლიტიკური არჩევანის გამო, რომელიც, როგორც უკვე მკაფიოდ განცხადდა, რადიკალურად ეწინააღმდეგება რუსეთის ნაციონალურ, გეოპოლიტიკურ პროექტს.

გასული წლის ნოემბერში უკრაინას ხელი უნდა მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე. რუსეთმა რამდენჯერმე ღიად დააფიქსირა, რომ მისთვის ეს დოკუმენტი არ იყო მიზანშეწონილი. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ე.წ. ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობაზე უკრაინასა და ევროკავშირს შორის, რასაც, როგორც რუსეთი აცხადებდა, შეეძლო ნეგატიური გავლენა მოეხდინა რუსეთ-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობებზე. საბოლოოდ უკრაინამ ხსენებულ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, რაც ობიექტურად აღიქმება რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ზენოლის შედეგად. უარის სანაცვლოდ, უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთისაგან მიიღო 15 მილიარდი დოლარის ოდენობის გრძელვადიანი კრედიტის გარანტია და გაზის ტარიფის მესამედით შემცირება (ბუნებრივია, ეს გარანტიები დღეისათვის რუსეთმა ოფიციალურად უკან წაიღო).

უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ გამოიწვია მასობრივი საპროტესტო აქციები უკრაინის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, კიევსა და ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. საპროტესტო აქციები პერმანენტულად იმართებოდა და ხასიათდებოდა დროდადრო გამწვავებებით და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებთან შეტაკებებით. შეტაკებების შედეგად ორივე მხრიდან რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლის დიდი

ნაწილი ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის იყო. საბოლოოდ საპროტესტო აქციები თებერვალში დასრულდა, მას შემდეგ, რაც ქვეყნის უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა, ქვეყანა დატოვა და რამდენიმე დღეში რუსეთის ფედერაციაში, როსტოვში, გამართა პრესკონფერენცია.

რუსეთმა არსებულ გადატრიალებას საკმაოდ მწვავედ უპასუხა. ის დღემდე არ აღიარებს უკრაინის ახალ, დროებით ხელისუფლებას და მას არალეგიტიმურს უწოდებს, თუმცა დაუსაბუთებლად. მეტად მნიშვნელოვანი და უკიდურესად დესტრუქციული იყო რუსეთის ქცევა ყირიმის ნახევარკუნძულზე. რუსეთმა ჯერ ნახევარკუნძულის ოკუპაცია, ხოლო მოგვიანებით, უკრაინის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და, ასევე, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით ანექსია მოახდინა, რაც თანამემამულეთა დაუსაბუთებელი შევიწროებითა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ არაღიარებულ რეფერენდუმზე დაფუძნებით განახორციელა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი, აშშ-სა და ბრიტანეთთან ერთად, თავად იყო უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი 1994 წელს ბუდაპეშტის შეთანხმების საფუძველზე.

რუსეთის ინტერესები უკრაინასთან მიმართებით შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ – „ლეგიტიმურად“ და „არალეგიტიმურად“. პირველ კატეგორიას შეიძლება განვაკუთვნოთ მისი შემდეგი სურვილები:

რუსეთისათვის მნიშვნელოვანია უკრაინასთან არსებული ეკონომიკური კავშირები. რუსეთი არის უმსხვილესი და უკრაინული წარმოების ზოგიერთი მიმართულებით ერთადერთი შემსყიდველი. თავის მხრივ, თავად რუსეთი დიდწილად დამოკიდებულია როგორც უკრაინულ პროდუქციაზე, ისე უკრაინელი სპეციალისტების მომსახურებაზე, ძირითადად, კოსმოსური და სტრატეგიული სამხედრო-სარაკეტო მშენებლობის ტექნოლოგიების კომპონენტში.

რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ყირიმის ნახევარკუნძულზე განთავსებული შავი ზღვის ფლოტი, რაც აძლევს რუსეთს შესაძლებლობას ჰყავდეს სრულფასოვანი წარმომადგენლობა შავ ზღვაში, რადგან ნოვოროსიისკის პოტენციური ყირიმს ვერ შეედრება. ამავდროულად, იქ შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა საკმაოდ ძვირია და ამ შესაძლებლობას რუსეთი თავის თავს ამ ეტაპზე ვერ აძლევს.

მნიშვნელოვანია უკრაინაზე გამავალი გაზსადენები, რომლითაც რუსეთი ამარაგებს ევროპას და რაც მისი შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც უკრაინამ შეაფერხა ეს ტრანზიტი. ამის გამო რუსეთში მიიღეს გადაწყვეტილება ალტერნატიული გაზსადენების მშენებლობასთან დაკავშირებით, თუმცა უკრაინაზე გამავალი ენერგოსატრანზიტო ხაზი ამ ეტაპზე რჩება უმსხვილესად. ამავდროულად, „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, და მეტიც, უკრაინის კრიზისის ფონზე უკვე გაიჟღერა მოსაზრებამ ამ პროექტის შეჩერების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია რუსეთისათვის ე.წ. თანამემამულეების საკითხი. რუსეთის მოსახლეობა საკმაოდ მგრძობიარეა საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად რუსების მიმართ, რასაც რუსეთის ხელისუფლება ხშირად იყენებს გარკვეული მიზნებისათვის. ეს საკითხი განსაკუთრებით ეხება უკრაინას, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში საკმაოდ მრავალრიცხოვანია რუსული ეთნიკური კომპონენტი. გარდა ამისა, უკრაინასთან ურთიერთობის სენსიტიურობას განაპირობებს თავად რუსებისა და უკრაინელების ნათესაობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინის ხელისუფლებაში არ მოვიდნენ ე.წ. რუსოფობები. რამდენად შეიძლება უკრაინის ახლანდელ ხელისუფლებას ვუნოდოთ „ანტირუსები“, რთული სათქმელია, თუმცა თუ თეორიულად დავუშვებთ ამგვარ შესაძლებლობას, გასაგებია, რომ ამას შეიძლება შეენიროს უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული ზემოხსენებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რაც რუსეთისათვის ობიექტურად სერიოზულ პრობლემას შექმნის. გადატრიალების შემდეგ გამოიკვეთა გარკვეული ნიშნები იმისა, რომ უკრაინაში ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ულტრანაციონალისტები ცდილობდნენ, რასაც თან დაერთო უკრაინის ახალი ხელისუფლების პირობებში რადაში ინიცირებული კანონი რუსული ენის სტატუსთან დაკავშირებით, რასაც საბედნიეროდ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვეტო დაადო.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ცხადყოფს, რომ რუსეთის ქმედებები განპირობებულია არა იმდენად ზემოხსენებული მოტივაციებით, რადგან ამ ინტერესების რეალიზაციისათვის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და, ამდენად, მასთან ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვა საჭირო არ იყო.

შესაბამისად, აქ საქმეში ჩნდება მისი ე.წ. არალეგიტიმური ინტერესი, რაც, სავარაუდოდ, გულისხმობს საბჭოთა სახელმწიფოს რეაბილიტაციას ან მსგავსი სუპერსახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ყირიმის ანექსიის განხორციელების სწრაფი ტემპი, საერთაშორისო საზოგადოების რეაქციის უგულვებელყოფა და საკუთარი ქმედების გასამართლებლად თუნდაც მცირე დამაჯერებელი საბაზის არარსებობა, რასაც, როგორც წესი, რუსეთი ყურადღებას აქცევს, მიგვიბრუნებს მის მკვეთრ განზრახვაზე, საკუთარი გლობალური პროექტი განახორციელოს. ნიშანდობლივია რუსეთის პრეზიდენტისა და ყირიმელი თათრების ლიდერის სატელეფონო საუბარი, რომლის შემდეგაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი არცთუ ბოლომდე სამართლებრივს უწოდებს უკრაინის საბჭოთა კავშირიდან გასვლას, რაც ამ უკანასკნელმა ფედერაციის საბჭოსადმი მიმართვისას, ყირიმის შემოერთების გადაწყვეტილების დეკლარირებისას, საჯაროდაც განაცხადა.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ამგვარი გეოპოლიტიკური პროექტის განხორციელება რუსეთში გადაწყვეტილია, მისი რეალიზების დასაწყებად შესაბამის პირობებს ქმნის დღევანდელი ვითარება: ტრანსფორმაციის და პოლიტიკური კრიზისის პირობებში მყოფი უკრაინა, ეკონომიკური კრიზისი ევროპაში, რომელიც თავადაც დაინტერესებულია რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობებით და რომლის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მთლიანად არის დამოკიდებული რუსულ ენერგორესურსებზე, და ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია, რომელიც არ გამოირჩევა მკვეთრი და მტკიცე საგარეო პოლიტიკით.

ეს ყოველივე, თავის მხრივ, უკავშირდება რუსეთის მეორე არალეგიტიმურ ინტერესს. როგორც აღნიშნავენ, რაც მეტი რევოლუცია მოხდება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს, მეტად რეაქციული გახდება რუსეთი. თავად ავტორიტარული რეჟიმი ვერ დაუშვებს, რომ წარმატებული იყოს რევოლუციები, რომლებიც განსაკუთრებით გახმაურებულია და, მით უმეტეს, როცა მისი ინტერესების სფეროში შემავალ სახელმწიფოებში ხდება. შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის უკრაინაში პოსტ-რევოლუციური დესტაბილიზაციის შემდგომი გამწვავება და რევოლუციის დამარცხება. ამასთან, ჯერ კიდევ მოსალოდნელია, რომ რუსეთმა აქტიურად შეუწყოს ხელი, განსაკუთრებით უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცი-

რებას, რაც გარკვეული სცენარის განხორციელების შემთხვევაში, ხელისუფლების შეცვლის და სრულიად უკრაინის ანექსიის შესაძლებლობასაც კი მისცემს.

ბუნებრივია, რევოლუციის დამარცხებას რუსეთისათვის შიდაპოლიტიკური მოტივაციაც აქვს ისევე, როგორც თავად ყირიმის ანექსიას. როგორც უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, ვლადიმერ პუტინის რეიტინგი ყირიმის ეპოპის პარალელურად 10 %-ით გაიზარდა და 70 %-ს გადააჭარბა. რეიტინგის ამგვარი ზრდისა და სახელმწიფოს „ძლიერი“ მმართველის იმიჯის შექმნის ფონზე, რასაც თან შესაძლებელია დაერთოს წარუმატებელი რევოლუცია, რუსეთში ჰიპოთეტური გადატრიალების განხორციელების შესაძლებლობა, სულ მცირე, რამდენიმე წლით გადავადდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი იმ სცენარით წარიმართება, როგორც ეს რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას აქვს დაგეგმილი.

ამრიგად წარმოჩინდა, რომ ზემომოყვანილი ე.წ. ლეგიტიმური ინტერესები რუსეთს მისი გეოპოლიტიკური პროექტის განსახორციელებლად სჭირდება. ეკონომიკური კავშირებით ის ცდილობს გაამართლოს, რატომ არის მიუღებელი უკრაინის ევროკავშირთან დაახლოება და თან თავად უკრაინაზე მოახდინოს ზემოქმედება. რა თქმა უნდა, მომსახურების კომპონენტი მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რაც მას სტრატეგიული შეიარაღების სათანადოდ გამართულად მუშაობის გარანტიას აძლევს და შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებაც ითვალისწინებს მის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს, სტატუსს. შავი ზღვის ფლოტი მას ესაჭიროება მთლიანად შავი ზღვის რეგიონის გასაკონტროლებლად. გაზსადენები და ენერგორესურსების ტრანზიტი – ევროპაზე ზემოქმედებისათვის და, ბუნებრივია, მატერიალური დოვლათის შესაქმნელად საკუთარი ინტეგრაციული პროექტის უზრუნველსაყოფად (ძირითადად საუბარია სამხედრო უზრუნველყოფაზე. როგორც ცნობილია, ერთი მხრივ, რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტი განაგრძობს სწრაფი ტემპებით ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობს ინტეგრაციული პროექტის გეოგრაფიაში შემავალი ცალკეული სახელმწიფოების ავტორიტარ ლიდერთა ლოიალურობის მოპოვებას, რის გამოვლინებადაც უნდა მივიჩნიოთ 15 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის დაპირება უკრაინის ყოფილი პრეზიდენტისათვის). ამგვარი განზრახვა რუსეთის, ერთი შეხედვით, ლეგიტიმურ ინტერესებს უკრაინაში სწორედ რომ ლეგიტიმა-



ციას ართმევს.

ბუნებრივია, არსებული კრიზისი უშედეგოდ არ დასრულდება. ამან, შესაძლოა, პირველ რიგში, რუსეთისათვის არცთუ სახარბიელო პროცესების პროვოცირება მოახდინოს. ამ ეტაპზე დასავლეთის რეაქცია, როგორც ექსპერტები მიჩნევენ, არ არის სათანადო, რასაც ისიც ცხადყოფს, რომ დასავლურმა სანქციებმა ვერ აიძულა რუსეთი ყირიმის ანექსიაზე უარი ეთქვა. თუმცა, ბუნებრივია, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. რუსეთმა უკვე მკვეთრად აგრძობინა დასავლეთს, რომ მას, სულ მცირე, ენერგორესურსების ექსპორტის დივერსიფიცირება ესაჭიროება. სავარაუდოა, რომ მეტად აქტიური გახდება ფიქლის გაზის წარმოების განვითარება, რასაც დაემატება ატომური ელექტროსადგურების რაოდენობის ზრდა გარემოს დამცველთა პროტესტის უგულვებლყოფით და, ბუნებრივია, ამ პროექტების განხორციელება „როსატომს“ არ დაევალება.

დასავლეთს აუცილებლად მოუწევს უფრო ეფექტური სანქციების დანერგვა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მნიშვნელოვნად დაზარალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული ვითარება გაცილებით სერიოზულ კრიზისს შექმნის თავად დასავლეთში, პირველ რიგში კი – ევროპაში. ევროპელებს უკვე შეახსენეს, რომ ახლანდელი კრიზისი შედეგია საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შემდეგ გამოხატული არასათანადო რეაქციისა. არსებული გამონწვევის უპასუხოდ დატოვება ასევე ნათლად წარმოაჩენს, რომ ევროპა არ არის მზად უსაფრთხოების რეალური გამონწვევებისათვის და თავისი უსაფრთხოების სისტემის უსუსურობას ავლენს. მეტიც, კითხვები დაისვა იმის შესახებაც, თუ რამდენად შეძლებს ნატო უპასუხოს რუსეთს, თუ ის აგრესიას განახორცილებს ალიანსის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ, ანუ იმუშავებს თუ არა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 პუნქტი. ადეკვატური პასუხის არგაცემა მეტ სიმტკიცეს მისცემს როგორც რუსეთს, განახორციელოს საკუთარი გეოპოლიტიკური პროექტი, რომლის გეოგრაფიაშიც, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირისა და ნატოს ცალკეული ქვეყნებიც შედიან, ასევე თავად ევროპელ ევროსკეპტიკოსებს. ბუნებრივია, ეს ასევე გამოიწვევს იმედგაცრუებას ევროპული ერთიანობისა და ე.წ. ევროპული ღირებულებებისა და პრინციპების მიმართ ამ ერთიანობისაკენ მსწრაფველ საზოგადოებებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცილებით მნიშვნელოვანია,

რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია უდიდესი დარტყმაა არსებული საერთაშორისო წესრიგისა და სისტემის საფუძვლებისთვის. ეს აჩენს ძალზე უარყოფით პრეცედენტს იმისა, რომ არა მარტო უბრალოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გადახედვაა შესაძლებელი სრულიად გაუმართლებელი საბაბით, არამედ ამ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით – საკუთარი ტერიტორიების გაფართოებაც.

ეს ფაქტი ასევე წარმოაჩენს, რომ დასავლური სანქციები არაეფექტური იქნება სამომავლოდ, სხვა შემთხვევებში. რუსეთმა ნათლად განაცხადა, რომ თუ აქამდე ის გარკვეულწილად მონაწილეობდა დასავლეთთან ერთად გარკვეულ სუბიექტებზე ზემოქმედებაში, მაგალითად, ეთანხმებოდა ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების ნაწილს, შემდგომში შესაძლოა შეეცადოს, დასავლეთის სანქციების საწინააღმდეგოდ შეავსოს გამოთავისუფლებული სივრცე. რისი ნიშნებიც უკვე გაჩნდა კასპიის აუზის ქვეყნებთან საერთო პროექტების განხორციელებაზე რუსეთის მიერ ინიციატივების გაჟღერებით, სადაც ირანს განსაკუთრებული ადგილი განუკუთვნეს.

არსებული ვითარება სეროზულ გამოწვევას უქმნის ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის რეჟიმს. უკრაინა ის სახელმწიფოა, რომელმაც საკუთარი უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ბირთვულ სახელმწიფოთაგან მიღებული გარანტიების სანაცვლოდ დათმო საკუთარი ბირთვული არსენალი. მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა კი ხაზს უსვამს, რომ მისთვის ერთადერთ რეალურ გარანტიად შესაძლოა მის არსენალში შემაკავებელი იარაღის არსებობა ყოფილიყო. ამან შესაძლებელია უბიძგოს სხვა სახელმწიფოებს, რომ იზრუნონ საკუთარი ბირთვული პროგრამების განხორციელებაზე. ეს პირველ რიგში ეხება ირანს. არსებულ ვითარებაში გაცილებით რთული იქნება ირანის გადარწმუნება, რაც მკვეთრად დაძაბავს ვითარებას ახლო აღმოსავლეთში. ისრაელისათვის ირანზე შეტევას მანამდე ექნება აზრი, სანამ ეს უკანასკნელი საკუთარ ბირთვულ სტატუსს დააფიქსირებს.

თავის მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, ყოველივე ნეგატიურად აისახება თავად რუსეთზე. გარდა იმისა, რომ დასავლეთს მოუწევს მისთვის ეფექტური სანქციების დაწესება, რაც რუსეთის ეკონომიკას საგრძნობლად დააზარალებს (რუსეთის ფინანსთა სამინისტრო უკვე რეცესიის პროგნოზს აკეთებს), მან თავად ჩაიგდო

თავი პოლიტიკურ იზოლაციაში. მის ბოლო გადაწყვეტილებას მხარი ვერ დაუჭირეს მისმა უშუალო პარტნიორებმაც კი, საბაჟო კავშირის წევრებმა – ყაზახეთმა და ბელარუსმა. მეტიც, ყირგიზეთმა, რომელიც აქტიურად განიხილება ამ კავშირის კანდიდატ ქვეყნად, ღიად დააფიქსირა საკუთარი მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ვიქტორ იანუკოვიჩის ლეგიტიმურობა, რომელსაც რუსეთი მკაცრად იცავს, უკრაინაში პროტესტის მონაწილეთა შორის მსხვერპლის გამო შეუძლებლად დაასახელა. არსებულმა ვითარებამ ცხადად დაანახა ყაზახეთს, რომ ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრები ეთნიკურად რუსული მოსახლეობა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ გამოიყენონ. შესაბამისად, რუსეთის, როგორც სასურველი და სტრატეგიული პარტნიორის იმიჯი, სავარაუდოდ საბოლოოდ შეილახა. ცხადი ხდება, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის ერთადერთი მოტივაცია სხვა ქვეყნებისათვის შესაძლოა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყოს. თავის მხრივ, ჩინეთი, რომელსაც თავადვე აქვს ტერიტორიული პრობლემები, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დღემდე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთი გამოიყენებს დასავლურ სანქციებს ქვეყნის შიგნით მტრის ხატის განსამტკიცებლად (მით უმეტეს, თუ სანქციები არაეფექტური იქნება), გრძელვადიან პერსპექტივაში ის ვერ შეძლებს ეკონომიკური ვარდნის ფონზე წინ აღუდგეს საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილებას. ამის გარდა, თავადაც საკმაოდ მკვეთრი ეთნიკური პრობლემების მქონე ქვეყანამ შექმნა პრეცედენტი იმისა, რომ რეფერენდუმი საკმარისია სახელმწიფოს შემადგენლობიდან გასასვლელად და სხვა ქვეყნასთან გასაერთიანებლად. ამით რუსეთი საკუთარ თავსაც დაუპირისპირდა. მას უკვე გაახსენეს ორი უკიდურესად სისხლისმღვრელი ომი, რომელიც მან ზუსტადაც რომ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად აწარმოა.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთმა მთელი მსოფლიო დააყენა საკმაოდ რთული გამონვევის წინაშე. მან, როგორც ჩანს, აქტიურად დაიწყო ზემოხსენებული გეოპოლიტიკური პროექტის განხორციელება. თავის მხრივ, ცალკე აღებულ რუსეთის სურვილი, იყოს დამოუკიდებელი, ალტერნატიული მიზიდულობის ძალის ცენტრი, არ არის უკანონო, თუმცა ამგვარი პროექტის განხორციელება შეიძლება დაეფუძნოს, ერთი მხრივ, თავად რუსეთის

მომხიბვლელობას, ხოლო, მეორე მხრივ – მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დამოუკიდებელ გადანყვეტილებას. მაგრამ ამ ეტაპზე ეს კომპონენტები არ არსებობს, რაც თავისთავად ახდენს ხსენებული პროექტის დელეგიტიმაციას. მიუხედავად ამისა, ახლა ბურთი დასავლეთის მოედანზეა.